ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 91

14 აგვისტო 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

14:30 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი,ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ლევან დარახველიძე,ირაკლი ნადირაძე,ვახტანგ შაქარიშვილი,ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- თამარ მელიქიშვილი; მარიამ კვერნაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობს ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო **დღის წესრიგი:**

1. ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ. 12-03202131-03
2. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილიქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ (#15-0320226150-03)
3. „ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსიN20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.13.037.017) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის,ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ". 12-032021949-03
4. "ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.016.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.12-0320216132-03
5. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".12-0320216132-03

6. "ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N3ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.155.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "
12-0320216132-03
7. ქალაქ თბილისში, დასახლება ოქროყანაში არსებული 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.295) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ. 12-03202254-03
8. "ქალაქ თბილისში, ზარზმის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.033.006.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "
12-03202267-03
9. "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილის საქსოფმანქანა) Iმიკრორაიონის კორპუს N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.002.01.102) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". 12-03202267-03
10. ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.044.017) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მევლიანისთვის" (ს/ნ: 405338763) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე
12-03202266-03
11. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსერბული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.14.14.003.201) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/კ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ივლისის N29.777.1009 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ". 12-03202266-03
12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/ნ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/ნ 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **12-032022688-03**
13. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს N233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
14. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ნაკვეთი N04/139, საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.139) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".
15. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.080.01.500 და N01.15.07.003.080.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-0320226106-03
16. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის VII ჩიხი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.004.02.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-032226106-03

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცდა.

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ, კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.
თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 657,863.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 428,512.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 75.5%.
შემოსავლები
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 6 თვის გეგმა 545,735.8 ათასი ლარი, ფაქტიურად 408,612.3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 74.9% და ფაქტიური შემოსულობების 95.4% შეადგინა.
გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 321,858.1 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით(ფაქტი – 386,656.4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 64,798.3 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც გამოწვეულია ახალი კორონა ვირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გამო, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუარესების შედეგად განახლებული პროგნოზი) საგადასახადო შემოსავლების დანაკლისით1. მათ შორის:
დამატებული ღირებულების გადასახადი - საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად მიღებულია 186,994.4ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 217,445.0 ათასი ლარი) შედარებით 30,450.6 ათასი ლარით ნაკლებია.ქონების გადასახადიდან მობილიზებულია 134,863.8 ათასილარი, მათშორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 133,324.1 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 398.5 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1,141.1 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 169,210.5 ათასი ლარი) შედარებით 34,346.7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2019 წელს მიღებულია 167,162.8 ათასი ლარი).
გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 11,168.7 ათასი ლარი (გეგმის 31.6%),
სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 102,148.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 75,585.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 74%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (6 თვის ფაქტი – 112,524.8 ათასი ლარი) შედარებით 36,939.3 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული. მათ შორის:
პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13,395.3 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (3,834.8 ათასი ლარი) შედარებით 9,560.5 ათასი ლარით მეტია.

დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 67.7 ათასი ლარი. (მათ შორის: შპს „წყნეთის საექიმო ამბულატორია - 3.0 ათასი ლარი, ჰერმესი – 60.2 ათასი ლარი და შპს ქ.თბილისის N19 მოზრდილთა კლინიკის მიერ - 4.5 ათასი ლარი).

რენტის სახით მობილიზებულია 1,988.5 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან- 780.7 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,207.8 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 35,927.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (67,086.7 ათასი ლარი) 53.6%-ია. მათ შორის: სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3,574.4ათასი ლარი, რაც გეგმის (35,000.0 ათასი ლარი) 10.2%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (35,481.6ათასი ლარი) შედარებით 31,907.2 ათასი ლარით ნაკლებია. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში მიღებულია 355.0 ათასი ლარი (10%), სამორინეს მაგიდიდან - 28.0 ათასი ლარი (1%), ხოლო დარჩენილი - 3,191.4 ათასი ლარი (89%) ნაწილდება წამახალისებელ გათამაშებებზე და სხვა სახის ობიექტებზე:

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 23,596.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 24,000.0 ათასი ლარის 98.3%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (23,786.6 ათასი ლარი) შედარებით 190.1 ათასი ლარით ნაკლებია.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 9.8ათასი ლარი, რაც გეგმის (15.0 ათასი ლარი) 65.4%-ია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 2,330.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,000.0 ათასი ლარი) 77.7%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (4,869.6 ათასი ლარი) შედარებით 2,539.2 ათასი ლარით ნაკლებია.

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 6,333.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,900.0 ათასი ლარი) 129.3%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე- 6,008.7 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 324.7 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებლის აკუმულირების მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (6,788.4 ათასი ლარი) მიმართებაში შემცირებულია 455.1 ათასი ლარით.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 464.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (975.0 ათასი ლარი) 47.6%-ია. მათ შორის:შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობადასხვა) გადაცემიდან - 460.2 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან -4.3ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 20,671.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (25,500.0 ათასი ლარი) 81.1%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (27,851.3 ათასი ლარი) შედარებით 7,179.5 ათასი ლარით ნაკლებია. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 13,378.2 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 1,314.0 ათასი ლარი, არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 2,087.9 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 264.3 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 224.4 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 183.9ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 3,219.1 ათასი ლარი.

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 570,416.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 396,256.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 69%-ია.

2020 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 83,587.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (132,968.9 ათასი ლარი) 62.9%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 72,448.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (91,816.0 ათასი ლარი) 78.9%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 40,952.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (57,277.2 ათასი ლარი) 71.5%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 884.5 ათასი ლარით, რაც გეგმის
(3,072.0 ათასი ლარი) 28.8%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 13,593.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (13,683.8 ათასი ლარი) 99.3%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 62,926.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (93,026.2 ათასი ლარი) 67.6%-ია;

განათლება - 70,342.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (97,877.2 ათასი ლარი) 71.9%ია;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 9,571.5 ათასი ლარით, რაც გეგმის
(22,741.6 ათასი ლარი) 42.1%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 2,073.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,073.5 ათასი ლარი) 67.4%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 39,878.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (54,879.6 ათასი ლარი) 72.7%-ია.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თის შესრულება.

მოისმინეს:საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (№11-01202262753) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (№15-0320226150-03)

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ

შესათანხმებლად წარმოდგენილია გლდანისა და ისნის რაიონული გამგეობების კვარტალური ცვლილებები, კერძოდ გლდანის რაიონში „გარდაცვლილე მეომართა სარიტუალო ღონისძიებების" პროგრამას მესამე კვარტალში ემატება 1050 ლარი, გამგეობის აპარატის „არაფინანსური აქტივების" მუხლს, გამგეობის კუთვნილი დაზიანებული კომპიუტერების შესაცვლელად ემატება 10 000 ლარი. ისნის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების „ პროგრამას, შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად მესამე კვარტალში ემატება 308160 ლარი.

გარდა ამისა ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მოთხოვნით „გზების მშენებლობა-აღდგენის" პროგრამას ემატება 1 000 000 ლარი, „საქალაქო სამგავრო ტრანსპორტის მოძრავი შმადგენლობის მოდერნიზაციის" პროგრამაში ამ ეტაპზე არსებული რესურის ხარჯზე. ასევე „ქალაქის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამიდა 2 000 000 ლარის გადატანა ხდება „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის"პროგრამაში, ლორთქიფანიძის ქუჩის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციისა და საგზაო საფარის მოსაწყობად.

მომხრე- 8. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც გლდანისა და ისნის რაიონული გამგეობები, ასევე ინფრასტრქტურის საქალაქო სამსახური ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების

დანართი1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების** ცვლილებას.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსიN20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.13.037.017) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა დ აინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ"

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2019 წლის 19 ივლისიდან 2019 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი N20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.18.13.037.017) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა (მინიმალური ფართობი კ2=2.5-ის გათვალისწინებით - 4000 კვ.მ.) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა,. ერთადერთი კომპანია, რომელმაც დააკმაყოფილა ინტერესთა გამოხატვის პირობები იყო შპს „პერსპექტივა", მან წარადგინა ქონების მიმღები პირებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შეთავაზება 4000 კვ.მ-ის ოდენობით. შესაბამისად, ინტერესთა გამოხატვის გამარჯვებულად, აღნიშნული კომპანია გამოცხადდა.

განკარგულების დანართ N1-ში მითითებული კოოპერატივების წევრების სიის ფორმირებისას გათვალისწინებულია სააგენტოში ამ განკარგულების გამოცემის დროისათვის არსებული იმ პირთა მონაცემები, რომელთაც კოოპერატიული ბინები უნდა მიეღოთ ფონიჭალის ტერიტორიაზე, კერძოდ, განკარგულების დანართი 1-20 პუნქტებით გათვალისწინებულია ყოფილი N659 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება, რომელთაც, აღნიშნული პერიოდისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია - ყველა ის საჭირო დოკუმენტი, რაც, მათი, როგორც დაზარალებული პირების, იდენტიფიცირების და დაკმაყოფილების საშუალებას იძლეოდა.გარდა ამისა, დანართით გათვალისწინებული სიის ფორმირებისას დასაკმაყოფილებელ პირთა რიგითობის განსაზღვრის პროცესში, გათვალისწინებულ იქნა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული დაბალი სარეიტინგო ქულები და უპირატესობა მიენიჭათ ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე პირებს. განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული სიის ფორმირებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართების მოცულობა, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების პროცესში მათი რიგითობის განსაზღვრას. რაც შეეხება მიწის ნაკვეთიდან მისაღები წილის ოდენობას, აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთიდან თითოეული პირის მიერ მისაღები ფართი დაანგარიშდა მათ მიერ მისაღები საცხოვრებელი ფართების ფართობების პროპორციულად. კოოპერატივის წევრებთან ერთად, ასევე, განკარგულება ითვალისწინებს მიწის ნაკვეთიდან სიმბოლური ოდენობის წილის - 1 კვ.მ

ფართის შპს „პერსპექტივასთვის" (ს/კ: 405304950), როგორც ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული და სამშენებლო პროექტის განმახორციელებელი პირისათვის, გადაცემასაც.
საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს ქონდათ შეკითხვები,რაზედაც მათ გაეცათ კონკრეტული პასუხები.
შეკითხვების მაოწურვის შემდეგ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.016.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "
მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი.
საბურთალოს რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ლევან ქავთრაძეს(პ/ნ 01025022369) სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე მდებარე 88, 74 კვმ სახორებელი ფართი. გამგეობის წერილისა და შსს გასაუბრების ოქმების მიხედვით ლევან ქავთარაძე 15 წელი ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 5 შვილთან ერთად.
მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი.

„ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.027) მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში პირდაპირი განკარგვის ფორმით,სიმბოლურ ფასად პრივატიზებით გადაეცემა 9 ოჯახს. მოქალაქეები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ აღნიშნულ ფართებში. წარმოდგენილია მათი ცხოვრების დამადასტურებელი გამგეობის წერილობითი და შსს გასაუბრების ოქმები.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N3ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.155.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი.

მოქალაქე ცისანა ტყებუჩავას (პ/ნ 39001036788) სიმბოლურ ფასად საკუთრბაში გადაეცემა მოსკოვის გამზირი N3ბ-ში მდებარე14,91 კვმ საცხოვრებელი ფართი.მოქალაქე აღნიშნულ ფართს ფლობს 1994წლიდან.წარმოდგენილია ცხოვრების ფაქთის დადასტურებასთან დაკავშირებით შესაბამისი რაიონული გამგეობის შუამდგომლობის წერილი,ასევე შსს გასაუბრების ოქმები.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დასახლება ოქროყანაში არსებული 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.295) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა თბილისში, დასახლება ოქროყანაში არსებული 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შმდომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.არქიტექტურის სამსახურის წერილით, არსებული ტერიტორია მდებარეობს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში,სადაც შესაძლებელია სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე მხოლოდ საკულტო შენობა-ნაგებობის განთავსება.მიწის ნაკვეთის მიმდებარედ დაგეგმილია კრწანისი-შინდისის მიმართულებით სამანქანო გზის მოწყობა,შესაბამისად ტერიტორიის სამშენებლო განვითარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საპროექტო გზის მშენებლობის ფაქტორი, ასევე სრულად უნდაიქნას შენარჩუნებული ნარგავები.
მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ზარზმის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.033.006.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

მოქალაქე ანა სებისკვერაძეს (პ/ნ 01003010488) სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემა 32,49 კვმ საცხოვრებელი ფართი აღნიშნულ მისამართზე. ამხანაგობის კრების ოქმის მიხედვით ოჯახი აქ ცხობრობს 2008 წლიდან, ხოლო შსსწერილით დასტურდება,რომ აზა სებისკვერაძე10 წელია მუდმივადცხოვრობს აღნიშნულ ფართში. უნდააღინიშნოს რომ ოჯახის ერთერთ წევრს, საჯარო რეესტრის მიხედვით უფიქისირდებოდა 18 კვმ საცხოვრებელი ფართი თბილისში, რომელიც მან გაასხვისა 2010 წელს.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილის საქსოფმანქანა) Iმიკრორაიონის კორპუს N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.002.01.102) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

ციალა ქართველიშვილს(პ/ნ 01028008192) საკუთრბაში გადაეცემა სიმბოლურ ფასად, ლილოს დასახლებაში (ყოფილის საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუს N13-ში მდებარე 36,57 კვმ საცხოვრებელი ფართი.მოქალაქე აღნიშნულ ფართში ცხოვრობს 1991 წლიდან.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.044.017) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მევლიანისთვის" (ს/ნ: 405338763) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე
მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

შპს „მევლიანის" (ს/ნ: 405338763) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცემა, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ მიწის ნაკვეთი,ღია კაფეს მოსაწყობად.

იჯარის მოქმედების ვადად განსაზვღულია 2029 წლის 1 ივლისამდე პერიოდი, ამ ვადით მას იჯარით სარგებლობაშია აქვს კოტე აფხაზის ქუჩა #27/ანტონ კათალიკოსის ქუჩა #15-ში მდებარე უძრავ ქონება.

წლიური საიჯარო ქირაა 3780 ლარი.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსერბული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.14.14.003.201) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/კ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ივლისის N29.777.1009 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"
მომხსენებელი-თამარ მელიქიშვილი

სს „ვენჯორჯიას " 2019 წლის 15 ივლისის N29.777.1009 განკარგულით გადაცემული ქონდა ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსერბული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.14.14.003.201) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად.კომპანია ითხოვა ცვლილებას, ნაცვლად 22 კვმ ფართისა, ითხოვს 9 კვმ ფართს. 9 კვმ ფართის საიჯარო ქირა განისაზღვრა2160 ლარით.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/ნ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/ნ 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი-თამარ მელიქიშვილი

თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი") შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N216, 2019 წლის 24 მაისის N128 და 2020 წლის 28 თებერვლის N31 განკარგულებებით ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების თანახმად, მოიჯარე ვალდებულია განათავსოს რეტერატ(ებ)ი (საზოგადოებრივი საპირფარეშო) დანართი N2-ით გათვალისწინებული რენდერის შესაბამისად და მიიღოს ექსპლუატაციაში დანართ N3-ში მითითებულ ლოკაციებზე (გარდა N5 ლოკაციისა) არაუგვიანეს 2018 წლის 20 აგვისტოსი,დანართი 3-ის N5 ლოკაციაზე და დანართი 4-ის ლოკაციებზე (გარდა N2 ლოკაციისა) არაუგვიანეს 2019 წლის 31 ივლისისა, ხოლო დანართი N4-ის N2 ლოკაციაზე არაუგვიანეს 2020 წლის 30 აპრილისა (2.1.1. ქვეპუნქტი);

მოიჯარემ 2020 წლის 14 ივლისს და 2020 წლის 7 აგვისტოს განცხადებებით მიმართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დანართი N1-ის N3 ლოკაცია - რიყის ტერიტორია წარმოადგენს პრობლემურ ადგილმდებარეობას რეტერატის განსათავსებელად, ვინაიდან, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" მოიჯარეს 2020 წლის 22 ივნისს წერილით მიაწოდა წყალმომარაგების და წყალარინების გარე ქსელის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა, რომლის ღირებულება ჯამში შეადგენს 120 912 ლარს, რაც მოიჯარისთვის კომერციული თვალსაზრისით მისაღები არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოიჯარემ მოითხოვა ლოკაციის ადგილმონაცვლეობა რიყის პარკის ტერიტორიაზე წერილის დანართით წარმოდგენილი ორთოფოტოს შესაბამისად. ამასთანავე, მოიჯარემ მოითხოვა რეტერატის განსათავსებლად ვადა 2020 წლის ოქტომბრამდე და დარიცხული პირგასამტეხლოს პატიება.

აღსანიშნავია, რომ მოიჯარის მიერ დანართი N1-ის N3 ლოკაციაზე - რიყის ტერიტორიაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული რეტერატის განთავსების ვადა ამოიწურა 2020 წლის 30 აპრილს, ამდენად, 2020 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობით, მოიჯარეს ერიცხება ხელშეკრულების 3.7 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლო, 98,000 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,ვინაიდან ობიექტური გარემოებების გამო, მოიჯარის მიერ ვერ ხერხდება რეტერატის განთავსება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილმდებარეობაზე - რიყის ტერიტორიაზე, სააგენტომ მიზანშეწონილად მიაჩნია რეტერატის ადგილმონაცვლეობა,ხოლო მოიჯარის გათავისუფლება ხელშეკრულების 2.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის, ხელშეკრულების 3.7 პუნქტის საფუძველზე, 2020 წლის 30 აპრილიდან (დღეში 1000 ლარი)დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ხელშეკრულების დანართი N1-ში მოცემულიN3 ლოკაცია -ქ. თბილისში, რიყის ტერიტორია (ს/კ: 01.17.01.065.065) ჩანაცვლდება ამავე ტერიტორიაზე, შუშის ხიდთანმდებარე ლოკაციით(ს/კ: 01.17.01.065.065). ამასთან, ცვლილებაშედის ხელშეკრულების 2.1.1. პუნქტში, იმგვარად, რომაღნიშნულ ლოკაციაზე რეტერატის განთავსების ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2020 წლის პირველი ოქტომბრისა.

ასევე, საკრებულოს შესათანხმებლად წარმოდგენილია შპს „სითი ბოქსის" (ს/ნ: 439402843) მიერ ხელშეკრულების 2.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის, ხელშეკრულების 3.7 პუნქტის საფუძველზე, 2020 წლის 30 აპრილიდან (დღეში 1000 ლარი) დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან მოიჯარის გათავისუფლების საკითხი.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს N233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი-თამარ მელიქიშვილი

„ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4,061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ:01.16.05.032.024) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 5 წლის ვადით გადაეცა ღია კაფეს მოწყობის მიზნით. მიწის ნაკვეთის ყოველწლიური საიჯარო ღირებულება განისაზღვრა 1,800 ლარის ოდენობით, რომელსაც მოიჯარე იხდის სამ თვეში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი სამთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა.

მოიჯარემ 2019 წლის 16 დეკემბერს განცხადებით მიმართა მეიჯარეს და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დანართი N1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის ადგილმდებარეობა არ იქნა სწორად შედგენილი და არ წარმოადგენს მოიჯარის ინტერესში (მის საკუთრებაში რსებული კაფეს წინ) არსებულ ტერიტორიას.შესაბამისად, მოიჯარემ მოითხოვა იჯარით გადაცემული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის დაზუსტების მიზნით ხელშეკრულების დანართი N1-ში ცვლილების შეტანა.

პროექტის თანახმად, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება ევალება მოიჯარეს.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ნაკვეთი N04/139, საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.139) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მომხსენებელი-თამარ მელიქიშვილი

აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ არსებული საერთო ჯამში 382,76 კვმ საცხოვრებელი ფართი, სიმბოლურ ფასად გადაეცემა 4 ოჯახს. ეს ოჯახები დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობენ ამ ფართებით.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.080.01.500 და N01.15.07.003.080.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი.

მოქალაქე ნარგიზა ამირანაშვილს(პ/ნ 1017033027) საკუთრებაში გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 89, 46 და 90,49 კვმ საცხოვრებელი ფართი. ნარგიზა ამირანაშვილის 6 სულიანი ოჯახი 1992 წლიდან ცხოვრობს ამ საცხოვრებელ ფართში.წარმოდგენილია ცხოვრების ფაქტის დადასტურებასტან დაკავშირებით შესაბამისი რაიონული გამგეობის შუამდგომლობა და შსს გააუბრების ოქმები ცხოვრების ფაქტთან დაკავშირებით.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის VII ჩიხი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.004.02.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი.

სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის VII ჩიხი N8-ში მდებარე უძრავი ქონება 72, 50 კვმ საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცემა დედა-შვილს ლილი შაიაშვილს(პ/ნ 01021015961) და მარინა შაიაშვილს (პ/ნ 01021009786), რომლებიც 1989 წლიდან ფლობდნენ და სარგებლობდნენ აღნიშნული ფართით.

მომხრე -8; ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ოთარ გრიგოლია**